№ 661 შაბათი, 24 ოქტომბერი. 1896—1898 შაბათი, 24 ოქტომბერი № 661

სტამბა და რედაქცია
ტფილისი, სასახლის ქ.,
სათ.-აზნაურო ქარვასლა.
ხელის-მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიმართავენ რედაქციის დილის 10—3 საათამდე და საღამოს 6—7 და „წ. კ. საზ." წიგნის_მაღაზიას.
ხელ-მოუწერავ წერილებს რედაქცია არ ბეჭდავს.
პირის-პირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველდღე.
ტელეფონი № 363

# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური გამოცემა

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ერთის თვით 60 კაპ.
თითო ნომერი 3 კაპიკი
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ ვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე—5 კ.
Типографія и Редакція
„Цнобисъ Пурцели"
Тифлисъ, Дворцовая ул. д Дворянства.
Телефонъ № 363

სამშაბათს, 27 ოქტომბერს,

**დათა ივანეს ძის სულხანიშვილის**

გარდაცვალების წლის თავზედ სოფელ ტირძნისის ტაძარში გადახდილ იქნება წირვა და პანაშვიდი განსვენებულის სულის მოსახსენებლად, რის გამოც განსვენებულის **დედ-მამა ივანე და მარიამ სულხანიშვილები** სთხოვენ ნათესავთა და ნაცნობთ დაესწრონ წირვასა და პანაშვიდზედ.

(1—1)

**ქართველ საზოგადოების საყურადღებოდ**



ქართველ ხელოსანთა ამხანაგობა „შრომა".

ტფილისის ქართველ ხელოსნებმა დიდი ხნის სურვილი განიხორციელეს, შეადგინეს ამხანაგობა და გახსნეს საამხანაგო ქარხანა.

ქარხანა იღებს შირიანად და იაფად აკეთებს საქმეებს: სადურგლოს, სასტოლროს, საწყქურთმოს, სახარატოს (ტოკარი)

იაფად და ხმელის მასალისას.

ამზადებს: მაგიდებს, შკაფებს, კამოდებს, კრაოტებს, ბუფეტის შკაფებს, შენობებისთვის კარს, ჩარჩოს და სხვა, ყველანაირს ხის საქონელს. მუშტარი მოიკითხავს ქარხანაში უფროსს ოსტატს, რომლისაგანაც შეიტყობს ყოველს ნივთზე გადაწყვეტილს ფასს.

მმართველობა ამხანაგობისა სასტიკს ყურადღებას მიაქცევს, რომ ფასები ერთი და იგივე იყოს ყველასათვის, მასალა მშრალი და საქმე შესრულებული დაპირებულ ვადაზე.

პატივის-ცემით: გამგეობა „შრომის" ამხანაგობისა

ადრესი: ხიდზედ, მუხრან-ბატონის შენობაში. (100—44)

სამკურნალო და ამბულატორია

**ს. ბ. თოფურიასი**

ქუთაისში.

სამკურნალოში 50 საწოლია ავადმყოფთათვის. მიიღებიან ავადმყოფნი: **შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი,**

გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან.

ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე. შინაგან და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს **ს. ბ. თოფურია.** საქირურგო ავადმყოფობას და სიფილისს **ფ. ქ. ზერატი.**

დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი **მ. თ. ქოგანი.**

20 მაისიდამ—დედათა ავადმყოფობის და აკუშერობის D-r **ფ. ბაცევიჩი.**

თვალების ავადმყოფობას—**ი. ქ. ვარშავსკი.**

ამბულატორიაში არის კაბინეტია საექიმო და საბაქტეოროლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისათვისა და საჟისთვის.

სამკურნალო დირექტორი **ს. ბ. თოფურია.**

Лечебница С. В. Топуріа въ Кутаисѣ.

ჩვენი „კრებული" მეორე წელიწადში გადადგა. ამ მეორე წლის პირველი ნომერი ენკენისთვეში უნდა გამოსულიყო, მაგრამ ჩვენის ჟურნალისვე სასიკეთოდ განზრახ შევაჩერეთ გამოცემა რამოდენიმე თვით და მხოლოდ იანვრიდან განვაგრძებთ გამოცემას და წელიწადიც მომავალი 1899 წ. იანვრიდან დაიწყება. დღემდი ჩვენ უფლება არა გვქონდა, რომ, გარდა ყოველგვარ ჩვენი ნაწერისა, სხვების რამე დაგვებეჭდა ჩვენს „კრებულში", დღეს-კი ნება გვაქვს, რომ სხვებისაც ვბეჭდოთ ხოლმე და უკეთესმა ჩვენმა მწერლებთაგანმა კიდეც აღგვითქვეს დახმარება. ფასი იგივე დარჩება: გაგზავნით ფოსტით—**7** მ., ადგილობრივ გაუგზავნელად—**6** მ., ნახევარის წლით **4** მ, თვიურად და კერძო ნომერი—60 კ.

რედაქცია გადატანილ იქმნება დაბა ყვირილაში (ზესტაფონში) ლამბაშიძის სახლებში.

კერძო განცხადება ყოველ საგანზე მიიღება ჩვეულებრივზე იაფად და განცხადების ფულის გადახდაც შეიძლება ნაწილ-ნაწილ.

დასასრულ მადლობას ვუძღვნი მათ, ვინც წარსულ წელში გვეხმარებოდა და იმედია, რომ არც მომავალში მოგვაკლებენ თანაგრძნობას.

მომავალი წლის ხელის-მოწერა უკვე დაწყებულია. ადრესი გამომწერლებისათვის: დაბა ყვირილა, „კრებულის" რედაქცია. М. Квирилы. Редакція «Кребули» და თბილისში წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში.

«კრებულის» რედაქტორი და გამომცემელი

(10—1) აკაკი

# ახალი ამბავი

—

*** **მთავარ-მართებლის გამგზავრება კახეთში.** კავკასიის მთავარ-მართებელი გენ.-ად. თ. გ. ს. გოლიცინი თავისი მეუღლით, კნეინა მარიამ თეოდორეს ასულით, გაემგზავრება დღეს დილის 8 საათზე ტფილისიდან ქ. თელავში, გომბორის უღელ-ტეხილზე. გზათ მათი ბრწყინვალებანი ინახულებენ შუა მთის მონასტერს და შემდეგ თელავში შეუჩერებლად წაბრძანდებიან ღამის გასათევად წინანდალის საუფლისწულო მამულში. 25 ოქტომბერს მივლენ ქ. თელავში და შემდეგ ისევ წინანდალში გაბრუნდებიან ღამის გასათევად. ორშაბათს, 26 ოქტომბერს, გაემგზავრებიან წინანდლიდან სიღნაღის მაზრის ს. კარდანახში, სადაც ღამეს გაათევენ. სამშაბათს, 27 ოქტომბერს, მათი ბრწყინვალებანი ინახულებენ ბოდბის მონასტერს, ღამეს გაათევენ სიღნაღში, ხოლო ოთხშაბათს, 28 ოქტომბერს დაბრუნდებიან ტფილისში. მათ ბრწყინვალებათ თან ახლავთ ადიუტანტი და ერთი საგანგებო მინდობილებათა მოხელე.

*** **პარიზის გამოფენის გამო.** პეტერბურგიდან იუწყებიან, რომ განზრახულია დაარსდეს ქ. ფოთში პარიზში წასაღებ გამოსაფენ საგნების მისაღები კანტორა-ადგილი.

*** **პუშკინის იუბილეი.** პუშკინის კომისიის თავმჯდომარე პროფესორი კირპიჩნიკოვი სთხოვს ქალაქების სამეცნიერო საზოგადოებათ და პროფესორებს მონაწილეობა მიიღონ მოსკოვში დიდებულ პოეტის იუბილეის დღესასწაულში დეპუტაციებისა, რეფერატებისა და პუშკინის სახელზე გამოსაფენ საგნების გაგზავნით.

*** **ცხენის რკინის გზის საქმე.** 21 ოქტომბერს, ქალაქის გამგეობამ დაადგინა: წინადადება მიეცეს ქალაქის საბჭოს გადასინჯოს თავისი 14 ოქტომბრის დადგენილებანი და მიანდოს გამგეობას, მოახდინოს საგანგებო კომისიის დახმარებით, საბოლოო ხელ-შეკრულობა უსახელო საზოგადოებასთან ამ წლის 25 ოქტომბრისათვის იმ პირობით, რომ ბ. რობის მიერ გადასახდელი ფული მიღებულ იქმნეს ქალაქის სასარგებლოდ და რომ ხელ-შეკრულების დანარჩენი მუხლები ხელ-საყრელი იყოს ქალაქისათვის.

*** **ძველი წიგნები.** გორში აღმოჩენილა მეტად საინტერესო ძველი წიგნები, სადაც მოთავსებულია მრავალი ცნობები ქართველ კათოლიკეთა გვაროვნობის შესახებ, ასეთივე ცნობების ძველი ხელთ ნაწერი წიგნები ქუთაისშიაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოფილა. ყველა ეს წიგნები დაწერილი არის XVII და XVIII საუკუნოებში, ამ წიგნების დაბეჭდვა ნათელს მოჰფენს ქართველ კათოლიკეთა გვაროვნობის ისტორიას. შევიტყვეთ, რომ ყველა ეს მასალები ერთ წიგნად დროზე ცალკე გამოიცემაო. ამ წიგნების დაბეჭდვა დღეს კათოლიკეთათვის აუცილებელს საჭიროებას შეადგენს, თორემ ჟამთა ვითარება მათ ჩანთქავს და სამუდამოთ დაკარგავს.

*** **ბავშვების პატრონთა საყურადღებოთ.** ქვაშვეთის წმიდის გიორგის ეკლესიასთან არსებული შკოლა, შენობის უქონლობისა გამო აქომდე გაუქმებული იყო; ახლა კი, რადგანაც უკვე დამთავრდა შენობა და შეიმკო ყოველისფრით, გაიხსნება და დაიწყება სწავლა; მსურველთ შეუძლიანთ თავიანთი ბავშვები მოიყვანონ ხსენებულ სასწავლებელში.

*** **საქარხნო ინსპექცია ნავთის წარმოებაში.** რუსეთის საიმპერატორო ტეხნიკურ საზოგადოების საბჭომ დაადგინა აღძრას შუამდგომლობა შინაგან საქმეთა სამინისტროს წინაშე იმის შესახებ, რომ ბაქოს ნავთის მწარმოებელ ქარხნებში შემოღებული იქმნეს საქარხნო ინსპექციის კანონების მოქმედება და აგრეთვე განსაკუთრებული ტეხნიკური წესები, საქარხნო შენობების და მოწყობილებათა გაუმჯობესების შესახებ.

*** **სამრევლო სკოლის საქმე.** სასულიერო სამოსწავლო უწყებაში ლაპარაკია აღძრული იმის შესახებ, რომ შემოღებულ იქმნეს ყველა სამრევლო სკოლების მოწაფეთათვის ერთგვარი ფორმის ტანისამოსი, ხოლო მასწავლებელთათვის ერთგვარი ქუდები.

*** **ნაფიც მსაჯულთა სასამართლო კავკასიაში.** „სინ. ოტ.“-ას აუწყებენ, რომ კავკასიაში ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემოღების საქმის განხილვა გადადებულია მომავალ 1899 წლის დამდეგამდე, როცა მას კიდეც გადაწყვეტენ საბოლოოდ.

*** **საათფთეკო ნიხრი.** არსებულ საათფთეკო ნიხრის შეცვლის საქმე განხილულ იქმნება სათანადო მთავრობის მიერ ამ 1898 წლის გასულს.

*** **სახალხო განათლება კავკასიაში.** როგორც კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის ანგარიშიდან სჩანს სახალხო განათლების მდგომარეობა კავკასიაში 1897 წ. ყოფილა ასეთი: საზოგადო რიცხვი საშუალო სასწავლებლებისა ასულა 47-მდე (უმატნია წლის განმავლობაში 2-ით); ამ რიცხვში გიმნაზია ყოფილა 11, პროგიმნაზია 4, რეალური სასწავლებელი 4, საქალებო გიმნაზია და პროგიმნაზია 19, სპეციალ-პედაგოგიური სასწავლებელი 5, და დაბალი სასწავლებელი 66. საზოგადო რიცხვი დასაწყისის და კერძო სასწავლებლებისა ასულა 1216-იდან 1373-მდე. დასაწყის სასწავლებლების რიცხვიდან 1045 სწავლა უწარმოებიათ მხოლოდ რუსულ ენაზე. ისეთი სასწავლებლები, რომლებშიაც მხოლოდ ადგილობრივ ენებზე წარმოებდეს სწავლა, და რომელიც 1879 წ. შეადგენდნენ მეექვსე ნაწილს დასაწყის სასწავლებლების საზოგადო რიცხვისას, ამ ჟამად სულაც აღარ მოიძებნება ოლქში. თუ ამ ციფრებს შევადარებთ ადგილობრივ მცხოვრებთა რაოდენობასთან, დავინახავთ, რომ 10-ათას მცხოვრებზე მოდის $1\frac{1}{2}$მდე სასწავლებელი. განსაკუთრებით ცოტა სასწავლებელი ყოფილა ყარსისა და დაღესტნის ოლქებში, სადაც 10-ათას მცხოვრებს მოუწევს 0,41, და 0,24 სასწ. ყველაზე უფრო ბევრი სასწავლებელი ათი-ათას მცხოვრებზე მოდის ნაკლებად დასახლებულ შავი ზღვის პირის გუბერნიაში, სასწავლებლების რიცხვი ყველაზე უფრო დიდი ყოფილა ყუბანის ოლქსა და ტფილისის, სტავროპოლისა და ქუთაისის გუბერნიებში, მიუხედავად ამისა ამ კუთხეებში ათი-ათას მცხოვრებზე მოუწევს მხოლოდ ორი სასწავლებელი. სახალხო განათლების სამინისტროს უწყების გარეშე მყოფ სასწავლებლების რიცხვი ასულა 1030-დან 1328-მდე, სამრევლო და წერა-კითხვის სკოლების გახსნის გამო. მეჩეთებთან და სინაგოგებთან არსებულ სკოლების რიცხვი ირყეოდა 1600 და 2220 შორის. 1897 გასულს მოსლემანთა სკოლების რიცხვი უდრიდა 2002 და ებრაელთა 42-ს. სომეხ-გრიგორიანთა სკოლების ფრიად შესამჩნევ რიცხვიდან დარჩენილა სულ 5 და ეს სკოლებიც პირდაპირ ექვემდებარება სახალხო სასწავლებლების დირექციას.

*** **ცხინვალის ხმობა. ოხერის ოინები.** ამას წინად ცხინვალის ბოქაულმა მისწერა მამასახლის, რომ საჩქაროდ უნდა შეიკრიბოს ხალხში კომლზე თითო მანეთი რამდენიმე კაპეიკ ნაკლებ, შესანახად იმ ახალი ჩაფრების რაზმისა, რომლებიც უნდა ებრძოდნენ გავარდნილებს, ქურდებს და ყველაგვარ ავკაცებს. მთელ საბოქაულოში კომლზე მანეთი რომ ვიანგარიშოთ, თითქმის ათას თუმნამდე შესდგება; ამ ფულით საბოქაულო თითქმის სამოც კაცს დაიქირავებს. ეს ამბავი ძრიელ სასიამოვნოა და ერთი მხრით კი საწყენი, რომ ქურდ-ბაცაცა ოსების წყალობით საბრალო მართალმა ქართველმა ფული უნდა იხადოს; მაგრამ ხარჯს ჯანი ევარდეს, ოღონდ [illegible]გასული ქურდები ცოტათი მაინც არის შეშინდნენ და ნახევრობით მაინც მოისპოს, მაგრამ ძნელი დასაჯერებელი კია, სამწუხაროდ, რომ სუკების ჭამას დაჩვეულმა ქურდმა ოსმა, თავის მამა-პაპურ ნაანდერძევ ჩვეულება მოიშალოს. როგორც ვიცით, რაზმს ექნება ერთი უფლება: შეიპყროს ქურდი და წარუდგინოს მსაჯულს; მსაჯულმა უნდა გარდაუწყვიტოს საპყრობილეში ჯდომა და გაგზავნოს. იცით, ქურდ ოსისთვის რა არის გორის ციხე; კლუბი! ისე უხარიან ციხეში წასვლა, როგორც თავ მომწონე „კავალერს“ მეჯლისში. მე თვითონ გახლავართ ქვემოთ მოხსენებული ფაქტის მოწამე: „კარნიხა“ (ქურდი) ოსი მიდის პოლიციის მოხელესთან და ეხვეწება, ოქმი შემიდგინეთ, რომ კამეჩები მე დავიპარეო და თუ მომიხერხებთ, ამ ზამთარ გორის ციხეში გამგზავნეთ, ერთს ციკანს მოგართმევო. როდესაც პოლიციელმა ჰკითხა, რამ გაიძულა, რომ ტყუილად ქურდობას იბრალებო, „კარნიხამ“ უპასუხა: ამ ზამთარ ჩემ ცოლშვილსაც არ ეყოფათ ქირნახულიო. ეს ოსი ციხეში თურმე ჩაის დაჩვეულიყო და კიდევ იქითკენ მიეწევოდა გული. ოსი იშვიათია, რომ, თუ არ მოიპარა, ან თუ სადმე ხარჯში არ გამოძღა; ხორცი სჭამოს, ციხეში კი თითქმის ყოველ დღე ხორცს მიირთმევს. ზოგიერთა ქურდი ოსის სახლში, არა პირუტყვს არ შეუძლიან, რომ ზამთარში გასძლოს; ციხეში კი ჰოლანდიური ღუმელია გახურებული. ქურდ ოსს შრომა არ უყვარს და გაძღომა ძრიელ; აბა როგორ შეუშინდება საპყრობილეს?

მართალაძე

*** **ს. ვანათი** (ქართლი). **სამრევლო სკოლის საქმე.** კავკასიაში მართლ-მადიდებელმა ქრისტიანობის აღმადგენელმა საზოგადოების კრებამ წარსულ ზაფხულს დაამტკიცა: ს. ვანათის (გორის მაზრა) ერთკლასიანი სასწავლებელი გადაკეთეს ორკლასიანადაო. ამ ზაფხულში სასწავლებლისათვის შესაფერი შენობის აგება დაიწყეს. შენობა ქვითკირისაა, ორ სართულიანი. სიგრძე აქვს 42 არშინი, ზემო სართულში იცხოვრებს სამღვთო რჯულის მასწავლებელი, პირველი და მეორე მასწავლებელი, ხოლო ქვედა სართულში იქნება ორი მოზრდილი დარბაზი კლასებისთვის და მედავითნის სახლი. ერთ შენობაში იცხოვრებს ოთხი კომლი. შენობა შესახედავად უზამაზარია; მთელ საბოქაულოში არა მგონია, რომ ორიოდე სახლი გამოირჩეოდეს იმადენა. ძრიელ ლაზათიან გეგმაზეა აშენებული და ძალიან სუფთა ოთახები გამოდის, ოთახებს ჰოლანდიური ღუმელები ექნება. შენობაში მოიჯარადრეს მისცეს ას-ოთხმოცი თუმანი და ძველი შენობა: ერთ-კლასიანი სკოლისა და მასწავლებლისა, ბლაღოჩინის საცხოვრებელი სახლი, რომლების მასალაც დაახლოვებით ას-ოცი თუმანი ეღირებოდა. შენობა მშვენიერია და ვუსურვებთ ნაყოფიც მშვენიერი გამოიღოს. მოიჯარადრემ ამ შემოდგომაზე უნდა ჩააბაროს შენობა და სწავლასაც დაიწყობენ. ახალ მასწავლებლად არის გამწესებული სასულიერო სემინარიაში კურს-დამთავრებული ყმაწვილი. ვისურვებთ, რომ ამ ყმაწვილს წარმატებით წაეყვანოს საქმე.

მართალაძე

*** **დ. ჩოხატაური** (გურია). **კარგი ბოქაული.** მას შემდეგ რაც ჩოხატაურის ბოქაულად ბ. ქელბაქიანი დაინიშნა, ჩვენს პატარა დაბაში ქურდობა მოისპო, ბანქოს თამაშის ხსენება ხომ სულ აღარ არის; იმ გზებს, რომელზედაც კაცი ღამეში და ნამეტურ ავდარში ბედაური ცხენით ვერ გაივლიდა, ახლა ისე გაივლი, რომ ფეხიც აღარ გაესვრება. როგორც მოსამართლე, ბ. ქელბაქიანი არის კაცის სული და გული, მის მოსვლამდე, თუ რამე საქმე გექნებოდათ მოსამართლესთან, უნდა მისულიყავი და გეცადნა მისთვის არა საათობით, არამედ მთელი ორი და სამი დღე და შემდეგ სამართლის გაჩენის მაგიერ რას მიიღებდი მთხოვნელიო?! ერთ-ორ სილას, და შემდეგ „პანღურს“, ახლა ეს ასე აღარ არის, საქმე სწრაფად გიკეთდება ტკბილათ და ლამაზათ. დიდი მადლობის ღირსი არის ბ. ქელბაქიანი, რომელიც იმედია ამის შემდეგ კიდევ უფრო წინ წასწევს ჩოხატაურს.

— **მოხელეთა უწესობა.** აქაურ მომრიგებელ-სასამართლოს წვრილი მოხელენი საშინლად ეპყრობიან საწყალ ხალხს. გლეხი იმ აზრისა არის, რომ თუ სასამართლოსავე მოსამსახურეს დააწერია ან თხოვანა და ან კასაციური საჩივრები, საქმეს უთუოდ მოვიგებო; გლეხების უმეცრებით მოხელენი სარგებლობენ და უზომოთ ახდევინებენ მათ ფულს, თუმცა მათ არა აქვთ ნება კერძო საქმეები აწარმოვონ.

ს. გაგიძვერაშვილი

*** **ს. ასკანა.** (გურია). **საჭირო გახსენება.** როცა ჩვენი მამასა-

ხლისი ბ. ს. ქეიშვილი გურიის სავაჭრო სამრეწველო ამხანაგობის „შუამავალის“ გამგედ აღირჩიეს, ასკანის საზოგადოების ყველა წოდების პირმა, ნიშნად უღრმესის მადლობისა, განიძრახეს საჩუქარი მიერთვათ პატივცემულ მამასახლისისათვის. ერთს დღეს ასკანის სკოლის დარბაზში შეკრბნენ ხსენებულნი პირნი და გარდასწყვიტეს მიერთვათ ბ. ქეიშვილისათვის საუკეთესო ხმალი, ღირებული სამას მანეთამდე; იმავე დღეს ხელი მოაწერეს და ფულიც წარადგინეს შვიდ-რვა თუმნამდე, ამასთანავე ოთხ პირს დაავალეს, ახლო მომავალში მიერთმიათ საჩუქარი მამასახლისისათვის, მაგრამ დღემდის არც ხმალი სჩანს და არც ხანჯალი, სასურველია გავიგოთ მიზეზი ამ საქმის დაგვიანებისა და ესრედ მიწყნარებისა?!!

ყარა —ნი.

*** **ოჩამჩირე.** (აფხაზეთი) ხორავას გადაყვანა. დანამდვილებით შეგვიძლია ვაუწყოთ მკითხველებს, რომ ზედამხედველი აქაურის ორ კლასიან სკოლისა ბ. ხარავა გადაყვანილ იქმნა რუსების სოფელ ვლადიმიროვკაში იქაურის სკოლის მასწავლებლად. ხორავას ალაგზე ოჩამჩირეში დანიშნეს ვლადიმიროვსკის სკოლის მასწავლებელი.

*** **ქ. ქუთაისი.** კაცის დაჭრა. მოგეხსენებათ ქუთაისს აქვს ტყიანი მამული, სახელდობრ „საღორია“. ამ მამულში თვით გამგეობა ამზადებს შეშას და ჰყიდის ქუთაისშივე მცხოვრებლებზე. მათ შორის საბა გოგასაც ეყიდა რამდენიმე საჟენი შეშა; 17 ოქტომბერს წასულიყო ტყეში წამოსაღებად, იქ დახვედროდნენ გამგეობის მიერ დანიშნული ტყის მცველები ძმები გიგიაძეები, რომლებსაც ლაპარაკი მოსვლიათ ზემოხსენებულ გოგავასთან, რის შემდეგ გიგიაძეები ხელ და ხელ სცემოდნენ 60 წლის მოხუცს გოგავას, უცემიათ ხელით და კეტით და დაუჭრიათ კიდეც. დაჭრილი იმ წამსვე წაიყვანეს თოფურიას სამკურნალოში.

ნუ თუ ქალაქის გამგეობა ვერ ალაგმავს თავის მსახურთ და ნუ თუ ბოლო არ უნდა მოეღოს ამდენ ქაპან-წყვეტას და კაცის ჩეხვას!..

ი. ტ

*** **ს. ნიკორწმინდა** (რაჭა). მდ. შაორის მსხვერპლი. ეს სოფელი თავის სილამაზით მშვენიერს სანახავს წარმოადგენს, ამ სოფლის სიმდიდრეს შეადგენს ხე-ტყე და საბალახო დიდი მინდორი შაორი, სადაც ამ ზაფხულზე ჯარის კაცები წაიყვანეს საავარაკოთ. ამ მინდორს შუაში ჩაუდის მდინარე შაორი, რომელიც ნაქებია თავის მშვენიერ კალმახით. მხოლოდ ერთი ცუდი თვისება აქვს მას, რომლითაც მკვიდრთათვის თვალ-საჩინო ზარალი მოუცია ხოლმე. საქმე ის არის, რომ დიდი წვიმების დროს ეს მდინარე იპარება სათვალებიდან მიწაში და მიდის რამოდენიმე ვერსის მანძილზე, ქელიშის უდაბნოსთან; ხანდახან საუბედუროთ, ამოიმსება ეს სათვალეები და რაკი წყალი მიწაში ველარ ჩადის გუბდება და სამ-ოთხ დღეში მოედება ხოლმე მთელ არემარეს. ერთი ასეთი შემთხვევა ახლაც მოხდა. მთელი მინდორი თითქმის დაჰფარა წყალმა, და ამას შემდეგი უბედურება მოჰყვა, 6 ამ თვეს ს. ქელიაღებლეს მცხოვრები, ნ. ქელიძე თავისი შვილით წასულა შეშისათვის, რადგან წყალი დიდი ყოფილა შეუკრავთ ტივი და წამოუღიათ. ცოტა რომ მოლამებულა, სახლში წასვლა დაუპირებიათ და პირველად შვილი გადმომხტარა ტივის გასაჩერებლათ, რადგან ჰგონებია აქ დაბალი წყალი იქნებაო. საუბედუროთ იქვე ჩაუძირავს და დამხრჩვალა. საბრალო ხუთი დღე უძებნიათ და ძლივს უპოვნიათ. საწყალ ქელიძეს წვრილი ცოლშვილი დარჩა.

ს—მა კობახიძე

*** **ს. ალი.** (ქართლი) მადლობის გამოცხადება. უგულითადესს მადლობას უძღვნი ჩემის თანამგრძნობლებით ბ. ზაქარია ჭიჭინაძეს, რომელმაც ს. ალს „წიგნთ საცავ სამკითხველოს“ თვისი გამოცემა ასი ცალი სხვ-და-სხვა ქართული წიგნი, მესამედ ფასად დაუთმო და რამოდენიმე ცალიც წიგნი უფასოდ შემოსწირა. აგრეთვე ვმადლობთ იმ პირთ, ვინც ფულით აღმოუჩინეს ხსენებულს სამკითხველოს, მაგალითად: ღვთისწყალობ ყულიჯანოვმა 4 მ.ნ. მღ. ალექსი კევლიშვილმა 2 მ. გრიგოლ აბაიშვილმა 2 მ. ალექსი გელაშვილმა 1 მ. იაგორ სუხიევმა 1 მ. სოლომონ მამეკიშვილმა 1 მ. გრიგოლ ჩერექოვმა 1 მ. მთავარ დიაკონმა მირონა ომანიძემ მანეთ-ნახევრის საღირალის წიგნები. ღმერთმა ქმნას, რომ ბევრს სხვათაც მიებაძნოთ მათთვის და ჩვენი ღარიბი „სამკითხველოსათვის“ გამოგზავნოთ შემოწირულობა შემდეგის ადრესით: Въ м. Михайлово-Завѣдывающему Альской читальней, свящ. Исидору Мачарашвили.

გამგე სამკითხველოსი, მღ. ი, მაჭარაშვილი.

*** **დ. ხონი.** კარგი მოსავალი. წელს ჩვენს ხონში და ახლო-მახლო სოფლებში, კარგი მოსავალი იყო: თუმცალა უამინდობამ-კი შეუშალა ხელი სიმინდს და სხვა მცენარეებს. წრეულს ყურძენი წასულ წელზედ, უფრო მეტი მოვიდა. ვერ ნახავთ იმისთანა ღარიბ ოჯახს, რომ არ გაისმოდეს ღიღინი, და ჰარი-ალალის ძახილი. იმისთანა გლეხის ოჯახს ვერ ნახავ, რომ არ მოსვლოდეს ორი სამი საპალნე ღვინო.

ვარლამ.

*** **იმერეთი** წყლის არხების საქმე. ვაკე იმერეთის თერთმეტი სოფლის მცხოვრებთ აქვთ გადაყვანილი წყალი მდ. რიონიდგან, როგორც წისქვილებისათვის, აგრეთვე ზაფხულობით ყანების სარწყავათაც. ეს გადაყვანილი წყალი იშლება სამ ნაწილად: პირველი ნაწილი მიდის დასავლეთის მხრით, რკინის გზის ლიანდაგის ქვედა ნაპირზედ, მეორე და მესამე ნაწილი მიმდინარეობს შუა სოფლებში სამხრეთ-დასავლეთის მხრით. სამივე ტოტები ცალკ-ცალკე ერთვის რიონს. ამ წყლებში ხშირად გახლავთ გაშენებული წისქვილები, რომლებითაც სარგებლობენ ზემო-ხსენებული თერთმეტი სოფლის მცხოვრებნი, რასაკვირველია, დაწესებული ბაჟის (მინდის) გადახდით. მაგრამ საუბედუროდ, ხშირად უფუჭდება სათავე ხსენებულ წყალს, ან რიონის მოდიდების და ან დაკლების მიზეზით. ეს ხშირად ხდება, რადგან წისქვილებში ბევრნი არიან მონაწილენი და არ აქვთ ერთი მეორეს თანხმობა, ამის გამო დიდხანს რჩება გაუკეთებელი წყლის სათავე. ამ რთველობის დროს, თითქმის 15 დღე მეტიმ, რაც არხებში სრულიად ამომშრალია წყალი. ამის გამო თერთმეტი სოფლის მცხოვრებნი გაჭირვებაში არიან ჩავარდნილნი უწისქვილობით. იმ დალოცვილ წისქვილების მეპატრონეთ, რაიც დაუარსებიათ წისქვილები, რატომ არ ყავთ დანიშნული კაცები, რომ წყლის სათავე გაფუჭებისათანავე დაუყოვნებლივ გააკეთონ, რაითაც თვით პატრონები მეტს სარგებლობას მიიღებენ და მცხოვრებნიც არ შეწუხდებიან. იმედია ამას, ვისიც ჯერ არ ყურადღებას მიაქცევს.

## ქართული წიგნების გასაღების და გავრცელების საქმეები.

იყო დრო, როცა ქართული წიგნების გამომცემელნი წიგნების უმეტეს ნაწილს ხალხში მუქთად ვარიგებდით. მაშინ ისეთი სიბნელე სუფევდა ჩვენში, რომ წიგნების მუქთად დარიგება აუცილებელს საჭიროებას შეადგენდა. იმ დროს დამწერს გამომცემლისთვის ფულით დახმარებაც კი უნდა მიეცა, რადგან გამოცემიდამ ორი სამი წლის განმავლობაში მეოთხე ნაწილსაც ვერ მიიღებდა.

მადლობა ღმერთს, ეს ჟამი წავიდა, მწიგნობრობის ბნელმა ხანამ უკვე გაიარა ჩვენშიაც და დღეს ქართულს მწერლობას სხვა ბედი უღიმის, სხვა ვარსკვლავი უნათებს. უწინ მწერალიც ნაღვლით იყო სავსე და გამომცემელიც. როცა ჩვენ ქალაქ ტფილისში, ქართული წიგნების გავრცელება და კვირაობით იარმუკაში გატანა დავიწყეთ, ქალაქის ხალხს, ნამეტურ ყარაჩოხულ ბიჭებს, ხელოსანთ, ნოქრებს და ქარგლებს ეს საქმე ძრიელ გაუკვირდათ და ერთმანეთს გაოცებით ეუბნებოდნენ:

— კაცო, იარმუკაზე ქართული წიგნებს ჰყიდიან, კაცო ამასაც მოვესწარითო, ჰაი გიდი ჰაი, დროო და სხვაო...

იარმუკაზე ქართული წიგნების გაყიდვა ნელ-ნელა მოეწყო, ხალხმა თან და თან მიეჩვია წიგნს, რამდენიმე ხნის შემდეგ საქმე ისე წავიდა, რომ მრავალთ კვირაობით დაბარებულებივით იწყეს სიარული, წიგნების მაგიდის გარშემო ტრიალი, წიგნების ჩხრეკა და ყიდვა.

მე კარგად მახსოვს, რომ გაზეთ „დროებას“ ქალაქში 70 ხელის მომწერი ჰყვანდა და ისიც მდაბიოთაგანი—მას მხოლოდ ორი ქართველი კაცი კითხულობდა ტფილისში, ორივე სირაჯების ნოქრები: მაისურაძე და მახარაშვილი. ქალაქის გარეშე კიდევ უარესი იყო, იქ ყუთებათ ვგზავნიდით წიგნებს და ეს წიგნები მთლად იკარგებოდა. წიგნების გასაგზავნ ფულსაც ჩვენ ვხარჯავდით.

ამ ხანებში ყოველივე ასეთ ხარჯებს ჩვენ სიამოვნებით ვკისრულობდით, რადგან ქართული მამულისშვილობა ჭეშმარიტად გვწამდა. დ. ბაქრაძემ ისე გაზვლო თავის დღენი, რომ ერთი გროშიც არ უნახავს მწერლობის მხრით, ასევე ითქმის ანტონ ფურცელაძ ზე, განსვენებულს სერგეი სვიმონის ძე მესხზე, რომელიც შრომისა და შეუძლებლობის მსხვერპლი შეიქნა. დიდად პატივცემულმა სტეფანე ზარაფიშვილმა, ძველმა მდიდარმა ქართველმა მოქალაქემ მრავალი ფული ხარჯა ჩვენს მწერლობაზე, აგრეთვე ბევრი ხარჯი გასწიეს მწერლობის სასარგებლოდ, ნიკოლოზ ავალიშვილმა, პატივცემულმა ნიკ. ნიკოლაძემ და კირილე ბეჟანის ძე ლორთქიფანიძემ. დღეს კი სურათი შეიცვალა. წიგნების გამომცემელთა რიცხვი გამრავლდა; ხალხში წიგნის კითხვის ნიადაგიც გამაგრდა. მაგრამ საუბედუროდ დღეს მამულიშვილობამ ჩირჩილი სახე მიიღო, წიგნების გვერდით ამოუდგნენ ისეთი კაცები, რომელთაც წიგნების გავრცელებისთვის გული არ შესტკივათ. და მიუხედავად იმისა, რომ დღეს მკითხველები გამრავლდნენ ჩვენს ხალხში, ქარ-

თელი მწერალი მაინც ვერ სარგებლობს თვისი წიგნების გამოცემით, ან მას არ შეუძლია თავის ნაწერის გამოცემა ისე, რომ შრომის გარდა მას სხვა არაფერი დასჭირდეს. ეს კიდევ არაფერი, საქმის მეორე მხარე კიდევ უარესია. ვთქვათ, დამწერმა ან გამომცემელმა ყველა შრომა მიიღო და წიგნი დასტამბა, შემდეგ ამისა წიგნების გზავნის აქა-იქ გასასყიდათ. მანათზე ზოგს 30 კ. უღებს, ზოგს 40 კ. და ზოგს მეტსაც. [illegible] ადის მთელი წლიწადი, გამომცემელი მიდის გამყიდველთან და ფულის მოთხოვნა [illegible] სთხოვს, მაგრამ ამაოდ, გამყიდველისგან ვერას იღებს. ზოგთან წიგნები სულაც ეკარგება, ზოგისაგან ფულის მიღების ნაცვლად, შეურაცხყოფაც მოელის. ეს ჭეშმარიტება გახლავთ.

ამიტომ გამომცემელი, ან დამწერი იძულებულია თვისი ხელით ატაროს წიგნები აქეთ იქით გასაყიდად. ასეთ შემთხვევაში მან შეიძლება გამოცემას მოახერხოს, მცირე რამე მაინც აიღოს და შემდეგ მეორე გამოცემაც მოახერხოს, წინააღმდეგ შემთხვევაში კი პირველ გამოცემის შემდეგ მეორეს სამუდამოთ უნდა გამოეთხოვოს, რადგანაც პირველ გამოცემიდან ვერაფერს აიღებს. ასეთ მოვლენამ ბევრს გამომცემელს წაართვა წიგნების გამოცემის ხალისი, რადგან ყველას არ შეუძლია თავის ხელით ჰყიდოს წიგნები.

ზ. ჯ.

## ყურმოკრული საუბარი

— როგორ გამოკეთებულხართ, გასუქებულხართ.. ან ამიტომ არის ხალხში კარგი აგარაკი: წმინდა ჰაერი, კარგი ჭამა-სმა, მოსვენება და სხვა...

— მართლა რომ გამოვკეთდი და მოვსუქდიოდე, მაგრამ უბედურება ის არის, რომ დამდის?!.

— მითომ რათ?

— ჩემო ძმაო, ჯანმრთელობისას და გამოკეთებისათვის დიდძალი ფული დამეხარჯა და ვალს და ვახშში ჩავვარდი, ხოლო სანამ მათ გამოვასწორებდი, მე ისევ დავსუსტდები და დავუძლურდები...

## ამორჩეული აზრები

ქალი იგივე რედაქტორია, რომელიც ხანდისხან თქვენის ცხოვრებიდან ამოშლის ხოლმე საუკეთესო სტრიქონებს და მით ამახინჯებს თქვენს სიცოცხლეს.

ბერძნული სიბრძნე ამბობს: ყოველ საგანს ორი ყური აქვს. ვისაც აღება უნდა, თუ ერთს ყურს მოავლებს ხელს, ემსუბუქება, ხოლო თუ მეორესაც მოჰკიდა ხელი, დაუმძიმდება.

## სამეურნეო ცნობა

### ქიმიური ცვლილება ფქვილიან და ზეთიან თესლების ამოსვლის დროს,

ყველა თესლები ორ ნაწილად განიყოფება: ფქვილოვან და ზეთოვან თესლებად. ეს გაყოფა იმაზე არის დამოკიდებული, თუ რა საკვებ მასალას შეიცავს თესლი.

ფქვილიანი და ზეთიანი თესლები განიყოფება ცილიან და უცილო თესლებად. ფქვილიან თესლებში სახამებლის მარცვლები ბლომად იმყოფება და ცოტა ზეთი, რომელიც თვალითათვის უჩინრად არის შეერთებული პროტოპლაზმასთან. ზეთიან თესლებში მრავალი მარცვლები იმყოფება პროტეინისნივთებისა. ამ პროტეინის მარცვლებში არის: კრისტალლოიდების (ორგანიული კრისტალები) გლობოიდები (რომელშიაც არის კირი—Ca, თაბაშირი—Hg, ფოსფორი—Ph), რაფიდი, დრუზი და მრავალი სხვა. ამოსვლამდის გამხმარი თესლი თუ ავწონეთ, შევატყობთ, რომ თუმცა თესლებმა მიწაში იმატა, მაინც წონით ნაკლებია. აქედან სჩანს, რომ ამოსვლის დროს თესლს რაღაც ნაწილი მოჰშორდა. ერთმანერთს თუ შევადარეთ ზეთიანი და ფქვილიანი თესლების დაკარგული ნაწილი, შევატყობთ, რომ ფქვილიან თესლებს უფრო ბევრი მოაკლდა რაღაც ნაწილი, ვიდრე ზეთიანს. მაგალითად, მუხუდოს ამოსვლის დროს ეკარგება წონა 53%-მდე, ზეთოვანს-კი 20%-მდე. მეცნიერებმა გამოიძიეს და შეიტყვეს, რომ ფქვილიან თესლებს ამოსვლის დროს ეკარგება ნახშირ-დედა—C, წყალ-დედა—H, ხოლო ზეთიანს ეკარგება ნახშირ-დედა და წყალ დედა და მჟავდედა—O-კი მატულობს. რაიც შეეხება იმას, თუ რა ცვლილება მოსდის სახამებელსა და ცილიან ნივთიერებას, შეგვიძლია წარმოვიდგინოთ შემდეგი მაგალითებიდან.

საფრანგეთის მეცნიერმა გამოიკვლია ზეთიანი და ფქვილიანი თესლები ამოსვლამდი და ამოსვლის შემდეგ; გამოცდილი ფქვილიანი თესლი სიმინდი იყო.

| სიმინდის მარცვლის შემადგენელი ნაწილები. | ამოსვლამდე | ამოსვლის შემდეგ 10 დღის მერე გამოცდილი | გამოცდის შედეგი |
|---|---|---|---|
| სახამებელი . . . . | 6,386 გრ. | 0,777 გრ. | მოაკ. 5,609 გ. |
| გლიუკოზები . . . | 0,000 „ | 0,953 „ | მიემ. 0,983 „ |
| ზეთები . . . . . | 0,463 „ | 0,150 „ | მოაკ. 0,313 „ |
| უჯრედები . . . . | 0,516 „ | 1,316 „ | მიემ. 0,800 „ |
| ცილოვანი ნივთიერება | 0,880 „ | 0.880 „ | არ იცვალა |
| ნაცარი . . . . . | 0,156 „ | 0,156 „ | არ იცვალა |
| განუსაზღვ. ნივთ. . . | 0,236 „ | 0,397 „ | მიემ. 0,161 „ |
| სულ ხმელი ნივთ. . | 8,637 „ | სულ 4,629 | მოაკ. 4,08 „ |

ამ მაგალითიდან სჩანს, რომ ა) სახამებელმა და ზეთმა იკლო, ბ) გლიუკოზი გაჩნდა, გუჯრედები და განუსაზღვრელი ნივთიერებანი მიემატა. გლიუკოზი, უჯრედები და განუსაზღვრელი ნივთიერება შესდგა სახამებლიდან, რადგანაც ისე ცოტა ზეთი მოაკლდა, რომ იმის დანაკლისი ვერ შეადგენდა გაჩენილ ნივთებს; ისიც ვიცით, რომ სახამებელი უჯრედებში გადასვლამდე ჯერ გლიუკოზად უნდა გარდაიცვალოს. მაშ ეს გლიუკოზი, ასე ვსთქვათ, ჯაჭვის შუა რგოლია სახამებლის გადაქცევაში. ამნაირად უეჭველია, რომ სახამებლიდან გამოვიდა 0,953 გრ. გლიუკოზი და არა ნაკლები 0,427 გრ. უჯრედები (0,800—0,373=0,472 გრ.) დანარჩენი ნაწილი ზეთისაგან შესდგება. 0,161 გრ. განუსაზღვრელი ნივთიერება შესაძლებელია, რომ აგრეთვე სახამებლისაგან წარმოსდგა. ახალი გამოჩენილი ნივთების რიცხვი (1,914 გრ.) ნაკლებია დაკარგულ სახამებელზედ (5,603); მაშ დანარჩენი (5,603—1,914) სახამებელი თესლიდან ჰაერის მჟავდედის ძალით დაიკარგა; ეს სახამებელი მჟავ-დედამ წყლად და ნახშირ-მჟავად გადააქცია: $C_6 H_{10} O_5 + 6O_2 = 6. Co_2 + 5 H_2 O$ $C_6 H_{10} O_2$—მჟავ-დედა $Co_2$—ნახშირ-მჟაველი, $H_{2o}$—წყალი.

ნ. მკურნალი

(შემდეგი იქნება)

## სხვა-და-სხვა ამბავი

**ძაღლების ორკესტრი.** პარიზის ახალს ცირკში კონცერტებს ჰმართავენ, რომლებიც ძაღლების ორკესტრისაგან შესდგება. „კლოუნმა“ (ცირკის მასხარამ) დავატერმა დიდის მეცადინეობის შემდეგ ისე დაგეშა ექვსი ძაღლი, რომ სხვა-და-სხვა მუსიკალურს საკრავებზე მშვენივრად უკრავენ. ერთი ამ ძაღლთაგანი ჭიანურზე უკრავს, დანარჩენები სხვა-და-სხვა ორკესტრისთვის საჭირო იარაღებზე. თვითონ კლოუნი სკრიპკას უკრავს და უდირიჟორებს ძაღლების ორკესტრს. კონცერტი მშვენიერს შთაბეჭდილებას ახდენს მსმენელებზე. როდესაც ძაღლების კონცერტია გამოცხადებული, დიდძალი ხალხი იყრის თავს ცირკში.

# დეპეშები

(რუსეთის დეპეშთა სააგენტოსაგან)

21 ოქტომბერი

**ლონდონი.** დევონპორტიდგან, პლიმუტიდგან და პორტსმუტიდგან იუწყებიან, რომ ზღვის ვერფებში გაცხარებული მუშაობა არისო. სამხედრო გემები ზღვასა გასავლელად ემზადებიან და ქვა-ნახშირსა და საომარს იარაღს იმზადებენო. ბრძანება არის, გემები მზად იყოს; არტილერიის ჯარისკაცთ შინ წასვლის ნებას აღარ აძლევენ; იუწყებიან, სათადარიგო ჯარის-კაცნი იქმნებიან მოწვეულნი და თავისუფალ მეომართ თოფ იარაღს დაურიგებენო.

**სტამბოლი.** პორტამ გარდასცა ოთხ სახელმწიფოს წარმომადგენელთ ნოტა, რომელიც შვიდის მუხლისგან შესდგება. ელჩებმა აღიარეს, რომ პორტის მოთხოვნილებანი დასაკმაყოფილებელი არ არის.

**პარიზი.** საკასაციო პალატის თავმჯდომარემ კავენიაკმა წერილი გაუგზავნა, რომელშიაც სთხოვს, რომ მე მომისმინეთ გამოძიების დროს, რომელიც პალატამ დანიშნაო. ბორდის მოხსენებაში და მანოს სიტყვაში კავენიაკი შეცდომას ამჩნევს, რომელიც უნდა გასწორდესო და წერილის შემდეგის სიტყვებით ათავებს: „ბატონო თავმჯდომარევ, თქვენ უთუოდ საჭიროდ მიგაჩნიათ გამოძიების დროს დაიბაროთ ის კაცები, რომელთაც შეძლება აქვთ იმ ტყუილ საბუთების წინააღმდეგ რაიმე სთქვან, რომელნიც პალატას გადასცესო“.

22 ოქტომბერი

**იერუსალიმი.** იმპერატორი სიონის მთაზედ წავიდა; დაესწრო გერმანიისა და ოსმალეთის დროშების აღმართვას მწვანე ნაწმლში, რომელიც იმპერატორმა სულთანისაგან შეიძინა და გერმანიის კათოლიკეს გარდასცა.

**პარიზი.** მოწონებულ იქმნა [illegible]ლკასეს პოლიტიკა ფაშოდას საქმეში.

**იერუსალიმი.** იმპერატორმა მეუღლითურთ დაათვალიერა დავითის საფლავი საღამოზედ მის უდიდებულესობასთან სადილი იქმნა გამართული ოსმალეთის მოხელეთათვის. შემდეგ მათ უდიდებულესობათ დაათვალიერეს ზეთის-ხილის მთა, გეთსიმანია, ვითანია.

**კანეია.** ადმირალებმა აცნობეს გუბერნატორს, რომ 23 ოქტომბერს, ჩვენის ჯარით დაწესებულებათა და შენობებს დავიჭერთ და ოსმალეთის მოხელეებს იქ აღარ შეუშვებთო. კრიტში მყოფმა ოსმალეთის ჯარმა ყოველგვარ სამსახურს თავი უნდა გაანებოს და კაზარმებში დარჩეს. ჯარის-კაცებს ნება არა აქვთ იარაღით გამოვიდნენ. ჟანდარმერია დათხოვნილ იქმნა. ოსმალეთს წინადადება მისცეს გემები გაჰგზავნოს ჯარის გადასაყვანად.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 23 Октября 1898 г. სტ. „ცნ. ფურც.“ (ვ. გუნიასი), რედაქტორ-გამომცემელი ვ. გუნია